

„თქილ“ სოციალური
კავშირების

1913.6

საქართველოს
საბავშვო ბიბლიოთეკა

ბაირონიზმი და მსოფლიო მწუხარება

82(09)
რ 648

1. აღიწერეთ ადამიანს. შე იმას
უწოდებ, ვისაც კაცობრიობის
წინაშე დიდი ღვაწლი მიუძღვის.



ვოლტერი.

თითქმის ასი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც დასავლეთ ევროპაში მსოფლიო მწუხარების ხმა გაისმა. ეს ხმა, ჯერ სუსტი და შეუმჩნეველი, იშვიათურ სისწრაფიდ იზრდებოდა და იმორჩილებდა მთელი კულტურულ კაცობრიობის აზროვნებას. მსოფლიო მწუხარების საუკეთესო წარმომადგენლად პოეზიაში ითვლება ბაირონი — ინგლისის დიდე



ბევრი ჩვენთაგანი ბაირონის პოეზიაში დღესაც
ჰპოვებს მშობლიურ ჰანგებს, ხოლო მის გმირებში
თავის იდეალების განხორციელებას.

მეთვრამეტე საუკუნის დამლევს კაცობრიობამ
საშინელი კულტურული კრაზისი განიცადა. საფ-
რანგეთის დიდმა რევოლიუციამ ვერ გაამართლა
ის იმედი, რომელსაც საფრანგეთთან ერთად
მოუთმენლად ელოდა მთელი ევროპა. ჩადგა
საშინელი ქარიშხალი, მაგრამ კაცობრიობის ტა-
ნჯვას მაინც ბოლო არ მოეღო. რევოლიუციის
ცეცხლი განელდა და ომში დაღლილმა მეომარმა
ბრძალის ველს მიმოავლო თვალი. და რა სურათი
გადაეშალა მას თვალ წინ? ისევ მონობა, შეურაცყო-
ფელი ადამიანის პიროვნებისა. თუმცა ამ მონო-
ბის სარჩული გამოიცვალა, მაგრამ მისი მსაზრდოე-
ბედ ი სული ისევ ძველი დარჩა. ხალხის უმრავლესობა
ცხოვრების გარეშე მოექცა და მის მეჯლისზედ
მხოლოდ უმცირესობამ მოიკალათა. ძმობის, ერთო-
ბის და თავისუფლების დიდებული ლოზუნგი ცა-
რიელ სიტყვებათ დარჩა. დაიმსხვრა პოლიტიკური
იდეალი და მასთან ერთად მოკვდა რწმენა ადამიან-
ის გონების ყოვლადშემძლეობისა. მის განუსა-
ზღვრელ ოცნებას ფრთები შეეკვეცა. მისი გული
მწუხარებამ შეიპყრო. ძველმა სარწმუნოებამ სამუდ-
ამოდ დაჰკარგა თავისი მიმზვიდელობა. ახალიც
ალარსად მოსჩანდა. ასეთი იყო ის სულიერი



ატმოსფერა, რომელშიაც იშვა მსოფლიო მწიგნობ-
ების პოეზია. ამ საერთო კულტურულ ძრიზის
მეთვრამეტე საუკუნის დამლევს ჩუმი ხასიათი
ჰქონდა. მაგრამ, რავდენადაც ეს კრიზისი შეუმ-
ჩნეველი იყო გარეგნულად, ივდენად იგი ღრმად
იდგავდა ფესვებს ადამიანის სულში. რეაქციამ
მიიღო ფართო, საზოგადოებრივი ხასიათი. მას
აკლდა მხოლოდ ოფიციალური დაკანონება. ეს
უკანასკნელი მოხდა მეცხრამეტე საუკუნის დასა-
წყის. ამ დროს ევროპის პოლიტიკური ცხოვრება
რადიკალურად შეიცვალა. ნაპოლეონის დამარცხე-
ბას შედეგად მოჰყვა ევროპის უმთავრეს სახემწი-
ფოებ შორის სამღვთო კავშირის შეკვრა. ამ
კავშირის მიზნად გამოცხადებულ იქმნა ბრძოლა
ყოველთაე თავისუფალ აზროვნების წინააღმდეგ
და წესიერების დამყარება კერძო და საზოგადო-
ებრივ ცხოვრებაში. მაშასადამე, სამღვთო კავშირის
მიზანი არ ყოფილა ვიწრო, პოლიტიკური: იგი მი-
მართული იყო მაშინდელ ცხოვრების ყველა მხარე-
ზედ. ვენის კონგრესზედ მარტო საფრანგეთის რევო-
ლიუციონ-კი არ ლეგდა სულსა, არამედ, მისი სულის
ჩამდგმელი გამანათლებელი ფილოსოფიაც. ლეგი-
ტიზმის სახელით უარყოფილ იქმნა ყველა ის,
რასაც დიდი რევოლიუციის ბეჭედი ესო. მოკა-
ვშირეება კვლავ აღადგინეს ეკკლესიის ავტორიტეტი,
რომელიც ძალზედ დაეცა მეეთვრამეტე საუკუნეში.



მთელი ევროპის ფაქტიურ მმართველად გახდა ავსტრიის დიპლომატი მეტტერნიხი, რომლის სიმკაცრეს და თავგასულობას საზღვარი არა ჰქონდა. » თანამედროვე პოლიტიკის საფუძვლად უნდა გახდეს მყუდრუება « სწერდა იგი 1817 წ. პოლიტიკურ ცხოვრების ძლიერმა ცვლილებამ, რასაკვირველია, სულიერ განვითავებაზედაც იქონია თავისი გავლენა. თავისუფლებასთან სისტემატიურმა ბრძოლამ საზოგადოებაში ზნეობრივი გათახსირება გამოიწვია. დიდებულ, საკაცობრიო იდეალებით გატაცება გულ გრილობით შეცვალა. ადამიანმა დაჰკარგა რწმენა თავის პიროვნებაში და მიეცა მოწყენილობას.. ლიტერატურაც, როგორც საუკეთესო გამოხმატველი თანამედროვე საზოგადოებრივ სულიერ მდგმოარეობასა, ამ საერთო სენმა შეიპყრო. მსოფლიო მწუხარება, რომლითაც მაშინდელი ატმოსფერა იყო გატენთილი, პირველად ემიგრანტების ლიტერატურაში გაისმა. მისი ტიპიურა წარმომადგენელი იყო საფრანგეთის ცნობილი რომანისტი შატობრიანი, რომელმაც შექმნა მოწყენილი და სულიერად აჟადმყოფი გმირი-რენე. რენე ვერსად ვერ პოულობს სიმშვიდეს და ხანგრძლივი ტანჯვის შემდეგ სამხრეთ ამერიკაში მიემგზავრება. იქ, მდიდარ ბუნების კალთებზედ რენე ეძლევა ტკბილ ოცნებას და შეტრფის იდეალურ სიყვარულს, რომლის მსხვერპლადაც იგი ხდება ბოლო დროს.

ასრე თანდათან მზადდებოდა ის ნიაღვი, რომელზედაც ბაირონიზმი აღორძინდა. არა უკეთეს სურათს წარმოადგენდა ინგლისი-ბაირონის სამშობლო. ინგლისის პოლიტიკური მდგომარეობა 19 საუკუნის დასაწყისს სრულიად ეთანხმებოდა ევროპის საერთო რეაქციას. თავისუფლების დიდი ქარტია რომლითაც ძველი დროიდან ამაყობდნენ ინგლისელები, თითქმის მოისპო ფაქტიურად. სახემწიფოს შიგნით გამეფებდა გეორგ III რეჟიმი, ხოლო გარეშე პოლიტიკა ხალხთა დაჩაგვრაზედ იყო აშენებული. ინგლისის საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამწვავებულმა კლასსთა ბრძოლამ იჩინა თავი. ინგლისი, როგორც სამართლიანად აღნიშნავს სენიერბოსი, თითქოს ორ ნაწილად გაიყო: ერთს შეადგენდა პრივილეგიებიანი ნაწილი, ხოლო მეორეს უსახსრო და დაქვეითებული. საზოგადოების დაბალ წრეებში გამეფებული იყო საშინელი სილატაკე, რომელიც აღარებელ დამნაშავეთ წარმოშობდა. ხოლო ამ უკანასკნელთა დასასჯელად სცემდნენ სასტიკ კანონებს; სულ უბრალო დანაშაულს სიკვდილით დასჯა მოსდევდა შედეგად. მაგრამ არც გაბატონებულ კლასების მდგომარეობა იყო უკეთესი. განებივრებულ არისტოკრატიზმს შედეგად მოჰყვა გონებრივი და ზნეობრივი სილატაკე. ოფიციალური სიყალბე ყველას სდევნიდა, რასაც კი ადამიანიური სახე ჰქონდა. აი სწორედ ამ არისტოკრატიულ სა-

ზოგადობაში დაიბადა ბაირონი. სწორედ ამ საზოგადოების წყალობით გაძევებულ იქმნა იგი თავის სამშობლოდან. რა გასაკვირველია, რომ ასეთ საზოგადოებრივ დაქვეითებას თან მოჰყვა ლიტერატურული კრიზისიც. ლიტერატურაშიაც, როგორც ყველგან გამეფდა გაიძვერობა, ფარისევლობა და ინტრიგა. ასეთ გათახსირებულ მწერალთა გუნდს ეკუთვნოდა სხვათა შორის სოუტი, რომელმაც თავის უსირცხვილობით ყველას გადააქარბა და. სამართლიანად დაიმსახურა ჩამომავლობის ზიზღი. სოუტი—რესპუბლიკანელი ახალგაზდობის დროს უეცრივ მონარქისტად გადაიქცა, როცა რევოლუციის ქარმა დაჰბერა. თავის „შრომაში“ სოუტი მთავრობისაგან დიდ გონორარს იღებდა და, რასაკვირველია, ამა ქვეყნის ძლიერთა სასიამოვნოთ აყდერებდა ჩანგსა. მაგრამ იმისთვის ფული და სახელის მოხვეჭა არ იყო საკმარისი. სოუტი ჩაეწერა ბაირონის მტრების სიაში და პირველად მონათლა მისი შკოლა „სატანიურის“ სახელით. მაშინდელ მწერლებს უფრო გონიერმა და, ცოტად თუ ბევრად სინდისიერმა ნაწილმა ცხოვრებას სრულიად ზურგი შეაქცია და დაარსა კარჩაეტილი ლიტერატურული წრე. ამ წრეს შეადგენდა აგრედ წოდებული „ტბის შკოლა,“ რომელსაც ეკუთნოდენ ვალტერ სკოტი, ვორდსვორტი, კოლრიჯი და სხვანი. ეს მწერლები თითქოს განზრახ ხუჭავდნენ თვალ-



ებს და ვერ ხედავდნენ იმ საშინელ დრამას, რომელიც თვით ცხოვრებაში ხდებოდა. იმის მაგიერ, რომ თანამედროვე ცხოვრებას ჩაჰკვირებოდნენ, ისინი გადადიოდნენ ოცნებით საშუალო საუკუნოებში და იქ ეძებდნენ თავიანთ ნაწარმოების სიუჟეტს ერთი სიტყვით, მაშინდელ დროის დასავლეთ ევროპაში გამეფებული იყო საშინელი სიბნელე და უმეცრება, ხოლო ინგლისი ყველაზედ ბნელ კუნძულს წარმოადგენდა

საზოგადო-ისტორიულ პირობების მოკლე ანალიზმა ჩვენ ნათლად დაგვანახვა, რომ 19 ს. დასაწყისს მსოფლიო მწუხარებით თვით ცხოვრების ატმოსფერო იყო გაჟღენთილი. დასავლეთ ევროპის ჰორიზონტზედ გამოჩნდა შავი ღრუბელი, რომელმაც შიშით და სევდით მოიცვა ადამიანის გული. ბაირონის პოეზიამ ელვასავით გამოაშუქა ამ ბნელ ღამეში და მნათობ ვარსკვლავად გადაიარა მთელ ევროპაზედ. იგი ნაპერწყალივით მოხვდა ხმელ მასალას და დაანთო ძლიერი ცეცხლი, რომლის სხივებმაც გაანათა მომავალ კაცობრიობის კვალი. ბაირონი, როგორც ნამდვილი გენიოსი, მალე მიხვდა თავისი დროის სულიერ ტანჯვას. მან კარგად შეიგნო თავის საუკუნის „ავადმყოფობა“ და გამოხატა იგი საუცხოო მხატრულ ფორმით. რასაკვირველია ბაირონი თავისი დროის შვილი იყო, მაგრამ მის შემომქმედობაზე კერძო ცხოვრებასაც



ქონდა ძლიერი გავლენა. ბაირონის დედა, რომელიც მელთანაც მან თავისი ბავშვობა გაატარა, ძალზედ უცნაური და სასტიკი ადამიანი იყო. უღირსმა დედამ მას პატარაობიდანვე მოუწამლა სიცოცხლე და ამ გარემოებამ თავისებური ბეჭედი დაასვა მთელ მის სიცოცხლეს. შემდეგ, საყრმეში ბაირონი ჩავარდა არისტოკრატიულ წრეში, რომელსაც იგი სულით ვერ შეეთვისა. თქვენ უეჭველია გეტყვინებთ, რომ ბაირონი იშვიათურ სილამაზით იყო დაჯილდოვებული ბუნებისგან და მას მუდამ გარს ეხვია თაყვანისცემლების ბრბო. მაგრამ სილამაზემ და სახელმა ვერ მოგვარა მას სულიერი სიმშვიდე; იგი სიკვდილამდის დარჩა ყველაზედ მწუხარე და ნაღვლიანი ადამიანთა შორის. თავის პოეტიურ მოღვაწეობის დასაწყისშივე ბაირონი ჩადგა ოპოზიციაში და შეებრძოლა ყოველგვარ უსამართლოებას. იმ დროს, როდესაც ყველა ძილს მისცემოდა, ბაირონმა უშიშრად ჩამოჰკრა პოეტიურ ჩანგურის სიმებს და გადისროლა ხალხში ძლიერი, ადამიანური სიტყვა. ბაირონის პირველი ლიტერატურული ცდა იყო პატარა ლექსთა კრებული, რომლის წინასიტყვაობაში ავტორი სხვათა შორის აღნიშნავს თავის მცირე წლოვანობას და მაღალ-არისტოკრატიულ ჩამომავლობას. ამ წინასიტყვაობამ მწარე დაცინვა გამოიწვია ყრმა-პოეტის მტრების ბანაკში.



აი რას სწერდა ერთი მათგანი ამ კრებულის შესახებ: „აბა შეხედეთ, რა მშვენიერადაა სწერს ჩვენი მცირეწლოვანი! აი ეს ლექსი შეთხზა 18 წლის ყმაწვილმა, ხოლო ეს ლექსი 16 წლის ახალგაზდა; მაგრამ ჩვენ არამცთუ არ გვიკვირს, რომ ახალგაზდა კაცი საშუალო ლექსებსა სწერს, არამედ გვგონია, რომ ინგლისში ათი კაციდან ცხრას შეუძლიან ამგვარივე ლექსების წერა, ხოლო მეათეს ლორდ ბაირონზედ ცოტა კარგად“... შემდეგ გესლიანი რეცენზენტი ურჩევს ავტორს პოეზიას თავი დაანებოს და სხვა რაიმე საქმეს მოჰკადოს ხელი. ამ რეცენზიამ დიდი შდაბეკდილება მოახდინა ბაირონზედ, მაგრამ ახალგაზდა პოეტი არ დაეცა სულით: „შეუბრალებელი კრიტიკოსი, სწერდა ბაირონი შემდეგში, შხამია ახალგაზდა მწერლისთვის. მან დაეცა მიწაზედ, მაგრამ მე ფეხზედ მალე წამოვხტი.“ ამ რეცენზიის საპასუხოდ ბაირონმა დასწერა სატირა „ინგლისელი მგოსნები და შოტლანდიელი მიმოხილველნი.“ ამ თხუზულეებაში ბაირონმა არ დაზოგა თავისი მტრები და სასტიკად შური იძია მათზედ. ასეთი გულისწყრომა ყრმა პოეტის მხრივ ადვილად გასაგები და კანონიერიც იყო: ბატონ კრიტიკოსების რეცენზია არ გავდა კრიტიკას ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. მას აშკარად ეტყობოდა გაღიზიანებული კილო და ტენდენციური ხასიათი. რასაკვირვლია, როგორც ყველა

პირველ ლიტერატურულ ცდას, აღნიშნულ ლექსთა კრებულსაც ქონდა ნაკლი, მაგრამ მასში უკვე გაისმის მსოფლიო მწუხარების მშვენიერი ხმა. ავილოთ მაგალითად პატარა ლირიკული ლექსი, რომელსაც პოეტი თავის სატრფოს—„კაროლანას“ უძღვნის. ამ ლექსში პოეტი მხატრულად გამოატყვამს ადამიანს მალალ გრძნობათა მომხიბლავ ეშხსა და სილამაზეს. ეს გრძნობა ძლიერი და წარმტაცია, მაგრამ ამასთანავე მწარე ნაღველით არის შეღვსილი. პოეტი—ჰიმნს უმღერის სილამაზეს და წიდა სიყვარულს, მაგრამ ამასთანავე იგი დასტირის ბედნიერების სიმუხთლეს და ამაოებას.

„სიყვარს და თანაც ვიტანჯი სულით,
რომ სიყვარული უეცრად ქცნდება.

წლები მირბიან და ერთად ვსტირით,
რომ სიყმაწვილე აღარ ბრუნდება.“*)

ამ სიტყვებით მიმართავს პოეტი თავის სატრფოს. იგი ვერ პოულობს მოსვენებას ცხოვრებაში. ადამიანებმა მას დიდბანია თავი მოაბეზრეს და ასე გასანჯეთ, ერთ ლექსში თავის ძაღლს მათზედ უფრ მალლა აყენებს. მაგრამ ასეთ ღრმა მწუხარების ღრის უეცრავ მხიარული სიმღერა გაისმის. პოეტი გატაცებული შეტრფის ბუნების სამშვენიერეს და თითქოს ცდილობს დაისვენოს მის მშობლიურ კალთებზედ.

„შენი ტაძარი დღის შუქი არის,
შენი ტახტა ზღვა და ხმელეთი.“

*) უნდა აღნიშნო სამწუხაროდ, რომ ბაირონის თხუთხულები თითო-ორიჯერად აღვილის გარდა ჯერ არ არის გადმოთარგმნილი ქართულ ენაზედ. ამიტომ მე თითონ ვეცადე შეძლე-



ამბობს იგი „ბუნების ლოცვაში.“ მაგრამ ბუნების მზერა და ჩუმი სიხარული არ აკმაყოფილებს პოეტის მღელვარე სულსა. იგი ეძებს სრულ-თავდაღვიწყებას, რომელსაც ღვინოში და გიჟურ ქეიფში ჰპოვებს.

„აუამსოთ ისევ ღვინის ქიქები!

მივეცეთ შვებას და სიხარულსა!

შევსვათ! ვინ არ სვამს?... ცხოვრება ცრუა;

ღვინო სჯობს ყველა კარგ მეგობარსა!“..

ასეთია მსოფლიო მწუხარების პოეზიის უმთავრესი მოტივები, რავდენათაც იგი ბაირონის პირველ ლექსებში გამოიხატა. სამწუხაროდ მე არ შემძლიან მათზედ უფრო დიდ ხანს შევჩერდე, მაგრამ ვგონებ ზემო ნათქვამიც საკმარისია, რომ გაითვალისწინოთ ბაირონის შემომქმედების დედა აზრი. თქვენ ტყუილად ეცდებით ამ ლექსებში რაიმე განსაზღვრული მიმართულება გამოიხატოს. „ლექსთა კრებული“ — ის ფოკუსია, რომელშიაც პოეტის მრავალ-ფეროვანი სული გამოიხატა. მასში ჩვენ ვხედავთ სილამაზის ქება-დიდებას, ცხოვრების უარისყოფას, დემონიურ სურათებს და სხვ... ერთი სიტყვით, ყველა იმას, რაც ასრე დამხასიათებელია მსოფლიო მწუხარების პოეზიისთვის. ამ ლექსთა კრებულში პირველად ვაისმა ძლიერი ხმა და პოეტის ოცნებაში ჩაიდ ჰაროლდის, კაენის და მანფრედის დიდებული აჩრდილნი ჩაისახნენ. ლექსთა ბის და გვარად გადმომეთარგმნა ლექსითვე ეს და სხვა ქვემოდ მოყვანილი ადგილები, რომ დედანის შინაარსის სიღრმესთან ერთად გარეგნული სილამაზეც შენახულიყო.

კრებული-პირველ დაწყებითი მუსიკალური აკორდია, რომელიც შემდეგ მშვენიერ სიმფონიად გადაიქცა. ვიდრე კენის და მანფრედის გარჩევას შეუდგებოდეთ, საჭიროა ჯერ პოემების განხილვა. მათ შორის ყველაზედ დამახასიათებელი ჰიაურია. ჰიაური მთელი, დასრულებული ნაწარმოები არ არის: იგი ნაწყვეტი და საიდუმლო მოთხრობაა ერთ ვენეციელზედ. მოქმედება წარმოებს აღმოსავლეთის ქვეყანაში, (საბერძნეთში) რომელიც თავის მშვენიერი და მდიდარი ბუნებით პოეტის გულსა ხიბლავს. ჰიაური თავის საუყვეტით კი არ არის შესანიშნავი, არამედ-პსიხოლოგიური მხრივ. მასში ჩვენ გმირების უჩაღური თავგადასავალი კი არ გვაინტერესებს, არამედ მათი ღრმა სულიერი მოძრაობა. ამ მოთხრობაში ერთი გრძნობა მეორეთი იცვლება, სიყვარული უეცრივ იქცევა სიძულვილად. მაგრამ ჰიაური როგორც სიყვარულის, ისე შურის-ძიების დროს რაღაც ძლიერ, დემონიურ არსებად რჩება. იგი მხოლოდ განსაზღვრულ, ძლიერი გრძნობითა ცხოვრობს და მუდამ მზათ არის მთელ ქვეყანას შეებრძოლოს. ჰიაურის თვითეული გრძნობა აკტიურია და განვითარების უმაღლეს წერტილამდის მიდის. ჰიაურმა შიში და უკან დახევა არ იცის: იგი ეძლევა თვითეულ გრძნობას მთელი თავისი არსებით. თვით სიყვარული, როდესაც იგი ჰიაურ-

რის გულში გამეფდება, თავის სინაზეს კარგავს და რაღაც ბოროტ ხასიათს ღებულობს. ერთი სიტყვით, ჰიაური იმ დემონიურ ტიპებს ეკუთვნის, რომელთა შექმნაში ბაირონს ცალი არა ჰყავდა. როგორც ზემოთ ვთქვით ჰიაური პსიხოლოგიური მხრივ არის შესანიშნავი: იგი სუბიექტიური ნაწარმოებია. ამ ნაწარმოებში გამოჩანს პოეტის მოსიყვარულე სული, რომელმაც ღვთაურის ცეცხლით არის აღგზნებული. აი რას სწერს სხვათა შორის პროფ. ზელინსკი ჰიაურის შესახებ: „რა თავგამოდებით იცავს პოეტი ჰიაურში ნამდვილ სიყვარულის პრინციპს! რა სიძულვილით გაჰკიცხავს იგი იმ სულელს, იმ უგულო ადამიანს, რომელიც უსიტყო ფრინველზედ უარესად იცვლის თავის ტრფობის საგანს!... ბაირონს, ყველაზედ ნაკლებად შეეძლო ასეთი სიყვარული, მაგრამ როგორც პოეტი იგი ეძლეოდა ილლიუზიას. ჰიაურში მან დაგვიხატა თავისი სულიერა მდგომარეობა ასეთ ილლიუზიის დროს.“ სიყვარული, რასაკვირველია, ისევე ძველია, როგორც თვით კაცობრიობა. მაგრამ მას შემდეგ რაც ქვეყანა არსებობს მისი მომხიბლავი ძალა არავის არ გადმოუცია ისე მხატრულად, როგორც ბაირონს. მოიგონეთ ჰიაურის სიტყვები, თქმული მღვდელთან აღსარების დროს:

სიყვარული ცის ნიჭა თვით მადლიდან მოგუენილი,
ანგულოზის თვალითა სხივი და დამწველი ნახურწყალი.

ლოცვას ცამდის აჰყავს სული,
სიყვარულს ცა ძირს ჩამოაქვს
და იმ სულში, როგორც ნამი
უკვდავების სხივი სცურავს.

აქ სრულიად მართლდება ტრეიჩკეს სიტყვები, რო-
დესაც იგი ბაირონსა და შირაბოს ადაჩებს. როგორც
შირაბო ტრიბუნაზედ ასვლის დროს კერძო ცხოვრე-
ბის ყოველივე ქუქკს სტოვებდა, აგრეთვე ბაირონი
იწმინდებოდასულიერად, როდესაც მას მუზა ეწვეოდა
ხოლმე. “ ასეთია ჰიაურის პსიხოლოგიური ანალიზი.
ჩვენ კორსარს და სხვა პოემებს აღარ შევებებით,
რადგანაც ყველა ესენი ერთსა და იგივე ანტი-
სოციალურ დედა-აზრს შეიცავენ ადამიანზედ.
პოემების გმირები რაღაც თავზედ ხელაღებულნი,
საზოგ დოებზედ ბრავ მორეულნი არსებანი არიან.
ისინი მუდმივ იბრძვიან კულტურულ საზოგადო-
ებასთან და ველურ მარტოობაში ატარებენ მთელ
სიცოცხლეს. ისინი უაზროთ დაეხეტებიან
დედა მიწაზედ, როგორც დაწყველილნი დემონნი:
მათი სული რაღაც ღვთის რისხვას შეუშვოთებია.

მაგრამ ბაირონს არ შეეძლო ამ გმირებზედ
შეჩერება. მისი პოეტიური გენიოსობა ადამიანის
გულის სიღრმისკენ მიილტოდა და ცდილობდა
ამოეკითხა მასში ჩამაჩხული საადემლოება. პირო-
ვნების კულტი, რომელმაც ყაჩაღური რომანტიზმის

ხასიათი მიიღო, მალე ჩაიდ-პაროლდის განწმენდილ და ამალღებულ სახით შეიცვალა.

როდესაც თქვენ დიდ ქალაქიდან დაბურულ ტყეში შედიხართ, უეცრივ გრძობთ ბუნების სიგრილეს და სიმშვენიერეს. ყვავილთა საუცხოო სუნი, ცივი, ანკარა წყარო, ბუღბუღის სტვენა, და სხვ., ყველა ეს ქმნის მრავალ შდაბეჭდილებას და აღვიძებს გულში ახალ გრძობებს. თითქმის ასეთივე შდაბეჭდილებას ახდენს მკითხველზედ ჩაიდ-პაროლდი. ამ ნაწარმოებში ივდენი აზრი და გრძობაა გამოხატული, რომ მკითხველი გაოცებული რჩება ადამიანის შემოქმედების სიძლიერით. ჩაიდ-პაროლდი ხიბლავს ჩვენ ყურადღებას არა მხატრულად დამთავრებულ სურათებით, არამედ თავის ღირიზმით, რომელიც ძლიერად სცემს პოეტის შემოქმედობის სიღრმიდან. ჩაიდ-პაროლდის რავდენივე სიტყვით შინაარსის გადმოცემა, როგორც ყველა ღირიკულ ნაწარმოებშია, ძალიან ძნელია. ჩაიდ-პაროლდი ხან უბრალო პეიზაჟისტია, ხან-კი-თვით პოეტის პიროვნება, რომელიც ბუნების სიმშვენიერეს შეტრფის და სწუხს ადამიანის არარაობას. პაროლდი ემშვიდობება სამშობლო მხარეს და მიემგზავრება უცხო ქვეყნებს, სადაც იგი თავის ფანტაზიის საზრდოს ეძებს. პორტუგალია, ესპანია, საბერძნეთი და იტალია, ყველა ეს ქვეყნები იპყრობენ მის ოცნებას, რომელიც გადადის ძველ ისტორიულ წარსულში.

პაროლდმა უკვე გადაიბერტყა კულტურულ საზოგადოების მტვერი და მთელის თავისი გრძნობებით ბუნებას შეეთვისა.

„ბუნებავ ტკბილო, ჩემო მშობელო!
შენზედ უტურფეს ნეტავ რა არი?
შენგნით ცოცხალი, შენ გეტრფის მარად
შენი მორჩილი, უღირსი შვილი“ —

ამბოძს პაროლდი მეორე სიმღერაში. პაროლდი აღარ საქიროებს ადამიანსა: მას ჰყავს ეხლა თავისი სწორ-მეგობრები, რომელთაც გაუზიარებს ნაღველს და სიხარულსა. პაროლდს კარგათ ესმის მათი ჩუმი, მაგრამ მჭერმეტყველური ენა.

„როგორც მეგობარს მთას შეჰყურებდა,
ზღვა იყო მისი ბინა-სადგური.
ცისა კამარა მის თვალთ იპყრობდა
და სამხრეთის მზეს შეტრფოდა გული.“

(სიმღერა III). ასეთ უმაღლეს საზღვრებამდის აღწევს ჩაიდ-პაროლდის მიერ ბუნების სიყვარული, რომელიც ფილოსოფიურ პანთეისმით თავდება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბაირონის ასეთ ესტეტიურ მსოფლ-მხედველობაზედ ძლიერ იმოქმედა შისმა დიდებულმა თანამემამულემ ჰოეტმა შელლიმ. „ფართო, ფილოსოფიური განვითარება, ამბობს ვესელოვსკი, აზრის სიღრმე, აღრფთოვანებული რწმენა სიმართლის გამარჯვებისა, განთავისუფლების ღირიზმი, ყვლა ეს ქონდა შელლის პანთეიზმთან ერთად შეერთებული.“ მაგრამ ბაირონი არ იყო სიმშვენიერის ობიექტი.

69969-69669
09.11.20



კტიური მაყურებელი. ამ მხრივ იგი ძალზედ განსხვავდება დიდებულ გოტესაგან, რომლის ოლიმპიურ სიპივიდეს მსოფლიო მწუხარების პოეტი მუდამ მოკლებული იყო. და მართლაც ჩვენ ვხედავთ, რომ ჩაიდპაროლდი მალე ბუნებას თავს ანებებს და თავისუფლების მქადაგებლათ იქცევა.

„ძველ რაინდობის სამარე ხარ, ჩემო ელლადა!
თუმცა დაეცი, უკვდაება მაინც მოგელის;
დიდებული ხარ, დიდხანია თუმც განისვენე,
შენ შვილთ მონობის, აბა მითხარ, უღელს ვინ
ახსნის?

„მონების შვილნო! ნუ თუ არ იცით,
რომ ტყვეთა მყოფი ბორკილებსა თითონვე
იმსხრვეს,
თავისუფლების ხმა როდესაც მას აღფრთოვანებს?..

„ამაყო რომო! მითხარ, სად გაჰქრა
შენი ტრიუმფი, ბასრი ხანჯალი,
რომლითაც ცეზარს მზე დაუბნელდა
და ბრუტმა ჰპოვა უკვდავთ სახელი?“

ამ სიტყვებით მიმართავს პოეტი დიდებულ წინაპართა უღირს შვილებს. იქნება ზოგიერთს თქვენთაგანს პოეტის სიტყვები თავისუფლებაზედ გაზვიადებული ეგონოს, მაგრამ ვისაც მათი ნამდვილი აზრის გაგება სურს, უნდა გაიხსენოს ის დრო, როდესაც ეს სიტყვები იწერებოდნენ. ეს იყო წარსულ საუკუნის მე-20 წლები. საბერძნეთმა ველარ შეუძლო ოსმალეთის მძიმე უღელს და ხანგრძლივ მონობის

შემდეგ ამბოხების დროსა ააფრიალა. ასეთივე ეროვნული მოძრაობა დაიწყო იტალიაში, რომელიც ავსტრიის წინააღმდეგ ლესავდა ხმალსა. ავსტრიელების ბატონობისგან თავის დახსნა მთელი იტალიის ლოზუნგათ გახდა და ამ მიზნით დაარსებულ იქმნა რევოლიუციონური „კარბონარიების“ საზოგადოება. თავისუფლებისთვის მებრძოლე ხალხი მოითხოვდა არა მარტო ნივთიერ, არამედ ზნეობრივ დახმარებას. აი სწორეთ ამ დროს ბაირონი გახდა მათი სულიერი წინამძღოლი. ბაირონი, რასაკვირველია, არ გამოდიოდა რაიმე განსაზღვრულ პოლიტიკური პროგრამით, მაგრამ იმისი ხმა ჰქუხდა უფრო ძლიერად, ვიდრე ევროპიელ პარლამენტარიების ათასი ფარისევლური სიტყვა. როგორც დღეებულის ტრიბუნი, ბაირონი ავიდა პოეტურ პარნასის მწვერვალოზე და თავის ძლიერი სიტყვით ამხნეებდა ყველა მებრძოლთ.

„თავისუფლებავე, გაკაჟდი!

დროსა აღმართე უშიშრად

შენი საყვირის ხმა მოაქვს

ქარიშხალს ძლიერსა მინდვრად!“

მაგრამ მარტო ზემონათქვამით არ განისაზღვრება ჩაიდ-პაროლდის წინაარსი. როგორც ცხელ, მზიან დღეში ცაზედ უეცრივ შავი ღრუბელი შოაწვება ხოლმე, ისე ჩაიდ-პაროლდის სულის მხიარული აღფრთოვანება სევდით და მწუხარებით იცვლება.

„ჩამომეხსენი, ნუ გინდა სათრფოვ
გაიგო, რაც მე მტანჯავს, მალონებს!

გულზედ იარას ნულარ ამიშლი,

შიგ ჯოჯოხეთის ცეცხლი ტრიალებს!“

ამ სიტყვებით მიმართამს ჩაიდ-ჰაროლდი თავის სატრფოს, ინესას. ჩაიდ-ჰაროლდს უნდა დაივიწყოს თავის გულის კრილობა და ამიტომ შეტრფის ბუნებას და უმღერის თავისუფლებას. მაგრამ რა წამსაც ჰაროლდი თავს ანებებს მთის მწვერვალებს და ადამიანის ცხოვრებაში იხედება, მისი ძველი იარაც ხელ ახლად იხსნება. ჰაროლდი დაღონებული შეჰყურებს ძველ ცივილზაციის ნანგრევებს. მას ძლიერად სტანჯავს სიკვდილის და განადგურების სურათი. როგორც ნამდვილი ჰამლეტი, ჰაროლდი იღებს ხელში ადამიანის თავის გამხმარ ქალას, დაიარება ძვლებით მორწყულ სასაფლაოზედ და ცდილობს ამაოდ ამოიკითხოს ცხოვრების რთული ამოცანა. წარსულში სიკვდილი და განადგურება, მომავალში საიდუმლოება და სიბნელე, — ასეთია ის ღრმა, ფილოსოფიური დასკვნა, რომლითაც ჩაიდ-ჰაროლდმა თავისი მოგზაურობა გაათავა. საიდ წავიდეს? სად იპოვოს სიმშვიდე ტანჯულმა სულმა? რით ისაზრდოვოს აღელვებულმა გრძნობამ? ჩაიდ-ჰაროლდს მოსწყინდა ამაოდ და უშინაარსო სიცოცხლე. მას აღარ შეუძლიან დარჩეს იქ,

„სადაც სწყევლიან ბრძოლით დაქანცულს
სადაც ცრემლი-კი სიკვდილის დროსა
არ დაეცემა თქვენ გვამს უსულოს!“

მარტოობა სულისა—დიდებულ ტანჯულთა ხვე-
დრი ჩაიდ-ჰაროლდსაც ეწვია. მარტომ დაიწყო
და გაათავა მან თავის ხანგრძლივი მოგზაურობა.
მოკლებული სწორ-მეგობართა იგი ამცნობდა თავის
გულის პასუხს მხოლოდ „ვარსკვლავთა თანაბეა-
ლთა.“ თუ ჰაროლდის და ჰიაურის ცხოვრებას ჩაუ-
კვირდებით, უეჭველია დაინახავთ რომ მათი ბედი
ერთნაირი იყო: ორივეს საზოგადოებისგან გაძევება
ხვდა წილად. მაგრამ ეს გაძევება ამ ორ გმირში
სულ სხვა და სხვა გრძნობებს იწვევს. ჰიაური,
როგორც უფრო სადა პიროვნება, შურს იძიებს
საზოგადოებაზედ, ხოლო ჰაროლდი, როგორც
ფილოსოფიური ტიპი, ამაყობს თავის მარტოობით.

ზემოთ ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ჩაიდ-ჰაროლდში
ბაირონის ანტისოციალური გმირი სულიერად
ამაღლდა და განსპეტაკდა. მანფრედში პოეტის
შემომქმედობის ევოლიუცია უფრო წინ შიდის.
გაბორატებულმა გრძნობამ, რომელიც ბაირონის
გმირებს აღელვებდა, მანფრედში უმაღლეს წერტი-
ლამდის მიაღწია და თითქოს შეჩერდა.. გაიყინა
განსაზღვრულ ფორმაში. ამ გაყინულ სახით წარ-
მოგვიდგება თვალ წინ მანფრედი—ყველაზედ
უფრო ღრმა და გენიოსური ნაწარმოები ბაირონისა.
მართალი რომ ვთქვათ, მანფრედი რეალური ტიპი
არ არის: იგი მხოლოდ პოეტის ძლიერი ოც-
ნებაა კონკრეტულ ფორმაში ჩამოსხმული. მან-

ფრედი სიმბოლიური დრამაა, რომელშიაც ცოცხალი, ხორციელი ადამიანი კი არ მოქმედობს, არამედ მისი აჩრდილი. მანფრედი კაცობრიობას განშორდა, მაგრამ ღმერთად კი არ იქცა. იგი თითქოს დროს და ადგილის გარეშე სდგას და ვერ პოულობს დასაყრდობ წერტილს. ამაში მდგომარეობს მანფრედის ძლიერი ტრაგიზმი. აი რას ამობენ მანფრედზედ ბოროტი სულები: „მანფრედი არა ჩველულებრივი ადამიანია, რაზედაც მოწმობს მისი გარეგანი სახე და მისი აქ, ჯოჯოხეთში ყოფნა. მისი ტანჯვა, როგორც ჩვენი, უკვდავია. მისი ცოდნა, ძალა და ნება იშვიათია ადამიანში. მისმა მისწრაფებამ ადამიანის სურვილებს გადააქარბა. ამ მისწრაფებამ ასწავლა მანფრედს ის, რაც შეგვიძლიან მხოლოდ ჩვენ ვიცოდეთ: რომ ცოდნას ბედნიერება არ მოსდევს და მეცნიერება მხოლოდ ერთი უვიცობის მეორეთი შეცვლაა. ვნებათა ღელვამ დასწვა მისი გული და იგი ისეთ საბრალო არსებათ გახდა, რომ ბოროტ სულებშიაც-კი თანაგრძნობა გამოიწვია..... აქ ჯოჯოხეთში არ მოიპოვება ამგვარი, ან მაზედ უფრო ძლიერი სული!“ მანფრედი არა ჩველულებრივი ძალის პატრონია: იგი არც ღმერთს და არც ეშმაკს არ ემორჩილება. მანფრედი ალბის მთის წვეროზედ ცხოვრობს და ამაყად გადმოაჰყურებს მთელს დედამიწას. მანფრედმა ბრაფრის შიში არ იცის: იგი გულგრილად შეჰყურებს

თვით სიკვდილს. „სიკვდილი არ არის ძნელი“ მშვიდათ უპასუხებს მანფრედი პასტორს, რომელიც ამაოდ ცდილობს მის მოარჯულებას. ამ მხრივ მანფრედმა თვით ფაუსტს გადააქარბა. გეცოდინებათ, რომ გაქირების დროს ფაუსტმა თავისი სული ეშმაკს მიჰყიდა. როდესაც სიკვდილის წინ მანფრედს ბოროტი სულები შემოეხვიენ, მან უშიშრად მიმართა მათ ამ სიტყვებით: „ჩემმა საათმა უკვე დაჰკრა, მე ეს ვიცოდი და ეხლაც ვიცი, მაგრამ ჩემს სულს კი თქვენისთანებს არ დავანებებ.“ როდესაც ამის შემდეგ ერთმა ბოროტ სულთაგანმა მანფრედზედ ექვი აიღო, რომ მას სიკვდილისა ეშინიან, მან (მანფრედმა) ხმა მალლა შესძახა: „შენ სტყუი, ცილის მწამებელო! ვიცი, რომ დამიდგა უკანასკნელი საათი, მაგრამ ამ უკანასკნელი საათიდან მე ერთი წამის ყიდვაც არ მინდა... ჩემი ძალა შენთან და შენი ამაღლის ხელშეკრულობაზედ არ იყო დამყარებული... მე ჩემ საკუთარ ძალაზედ ვემყრობი.. მე გიწვევთ თქვენ, უარგყოფთ და მეზიზღებით“ მშისადამე მანფრედი შუამავალს არ საქიროებს: იგი მოქმედობს, როგორც ავტონომიური პიროვნება. მაგრამ როგორია მანფრედის ცხოვრების პროგრამა? რაში გამოიხატება მისი ტიტანიური ძალა? როგორია მისი მისწრაფება? „დავიწყება“



აი მანფრედის ცხოვრების ლოზუნგი. „სიკვდილი“
აი ფილოსოფიურა დასკვნა, რომელიც მან დიდის
გამოცდილების შემდეგ გამოიტანა. მანფრედს არც
მტერი ჰყავს და არც მეგობარი. მას არა ვინ
უყვარს და არა ვინა სძულს. მოშორებული ადა-
მიანის ვიწრო ინტერესებს მანფრედი მოექცა ცის
და დედა მიწის შუა. ამ სფეროში გაცივდა და
გაიყინა მისი გული. თვით ცოდნა აღარა ხიბლავს
მანფრედს: ის წინდაწინვე დარწმუნებულია, რომ
ყველა ადამიანის მისწრაფებას მხოლოდ ერთი
ბოლო—არარაობა—მოელის.

„ცოდნა-ტანჯვაა და ვინც ყველაზედ ბევრი
იცის

უნდა ყველაზედ ბევრი იტანჯოს,
ოდეს გაიგებს, რომ ცოდნის ხე ცხოვრების
ხე არა ყოფილა.

ყურადღება მიაქციეთ ამ სიტყვებს: „ცოდნის
ხე-არ ყოფილა ცხოვრების ხე!“ რა საშინელი სასო-
წარკვეთილების ხმა ისმის ამ სიტყვებში! რა
უზომო, ღრმა პესიმიზმამდის მივიდა მანფრედში
მსოფლიო მწუხარება! ცოდნა, რომელიც ოდესმე
ცხოვრების უმაღლეს პრინციპად იყო გამოცხა-
ლებული, ცოდნა, რომელიც კაცობრიობას
უქადდა თავისუფალ სიცოცხლეს,— აი ეს ცო-
დნა უარპყო მანფრედმა. ასრე თან და თან ჰქრებოდა
ის შუქი, რომელიც დაანთეს მეთვრამეტე საუკუნის
ფილოსოფოსებმა. მანფრედის სიტყვებში მთელი

თაობის საშინელი ტანჯვა გაისმის. მანფრედი უკვდავი, ხელთუქმნელი ძეგლია, რომელზედაც მთელი კაცობრიობის ტანჯვა აღიბეჭდა. რა იყო მანფრედის ტრალიკული სიკვდილის ნამდვილი მიზეზი? ჩემი აზრით, მანფრედი თავისმა ძლიერებამ დალუბა. მანფრედი მოკვდა, როგორც არწივი, რკინის გალიაში გამომწყვდეული. და ვიდრე თავის კეთილშობილ სულს განუტევებდა, იგი დაულაღვად იბრძოდა თავისუფლებისათვის. მანფრედი ვერ მოთავსდა ამ ქვეყანაში და ამაოდ ცდილობდა მის ვიწრო საზღვრებისგან განთავისუფლებას. მოიგონეთ ის სცენა, როდესაც მანფრედი მთის წვეროზედ დგას და უნდა ღრმა ხევში გადავარდეს. მეცხვარემ შემთხვევით გადაარჩინა იგი საშინელ სიკვდილს. ეს სცენა სიმბოლიური სურათია. იგი ნიშნავს აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების ქვეყანაში გადასვლას. ეს არის განსაზღვრულ, ვიწრო ცხოვრების მიტოვება და განუსაზღვრელ ილიუზიის სფეროსკენ მისწრაფება. მანფრედმა ვერ გაარღვია ამ ქვეყნის ვიწრო საზღვრები. იგი თითქოს გაიყინა ალბის მთაზედ. ის, რაც მანფრედმა ვერ მოახერხა, კაინმა სძლია ლიუციფერის დახმარებით. კაენი მსოფლიო მწუხარების უკანასკნელი სიტყვაა. ბი რას სწერდა ვალტერ სკოტი ამ ნაწარმოების შესახებ: „კაენი დიდებული ნაწარმოებია, სადაც პოეტის მუზა უმაღლეს აღმაფრენას აღწევს და სადაც ბაირონი მილტონსა სძლევს.“ ამ ნაწარმოების

შინაარსი დაბადებიდან არის ამოღებული. პოეტი თავისებურად გადმოგვცემს კაენის და აბელის მიერ მსხვერპლის შეწირვის და პირველ სიკვდილის ამბავს დედა მიწაზედ. ვამბობთ, თავისებურად, რადგანაც პოეტი ცოტათი ასხვაფერებს დაბადების მოთხრობას. მაგალითად, ძმის მკვლელობის მიზეზად პოეტს შური კი არ გამოჰყავს, არამედ-სხვა გვარი ბრალ-მოტყუი გრძნობა. კაენმა ვერ მოითმინა, რომ აბელმა უმანკო მსხვერპლის სისხლი დაღვარა და მოჰკლა თავისი ძმა. კაენის სახით ბაირონის ანტისოციალური ადამიანი მოგვევლინა, მხოლოდ ახალი ძალით და ძლიერი ფილოსოფიური განცდით. კაენის პროტესტი მარტო ადამიანთა საზოგადოებაზედ კი არ არის მიმართული, არამედ მთელი სამყაროს წინააღმდეგ, როგორც უნივერსალურ მოვლიენისა. კაენი ტანჯულ კაცობრიობის დამცველია და მის გასანთავისუფლებლად მზათაა ღმერთსაც კი შეებრძოლოს. კაენი არ ემორჩილება ღმერთსა, რადგანაც მის მიერ შექმნილ ქვეყანაზედ მხოლოდ ცოდვა და ბოროტებაა გამეფებული. „რისთვის უნდა ვიყო მე მოჩილი, ამბობს კაენი, ნუ თუ იმ ბრძოლისთვის, რომელსაც ჩვენ მუდამ სტიქიონთან ვეწევი? ან იქნება იმ მწარე ლუკმა პურისთვის, რომლითაც ჩვენა ვსაზრდოვობთ?“ ბაირონის ყველა გმირებზედ უფრო მომეტებულია კაენს აღველვებენ აგრედ წოდებული მსოფლიო საკითხები. საიდან წარმოსდგა

კოდო დედა-მიწაზედ? როგორია მისი დასაწყისი? რაში მდგომარეობს ადამიანის ცხოვრების და ქვეყნის არსებობის აზრი? ასეთია ის დაწყველილი კითხვები, რომელნიც კაენს სტანჯავენ. კაენის აზრით ქვეყნიერება არავითარ ზნეობრივ ღირებულებას არ შეიცავს, რადგანაც მას საუკუნო წყევლის ბეჭედი აზის. „ადამიანს ერჩივნა სულ არ გაჩენილიყო, ვიდრე ავდენი ტანჯვა ენახა.“ ასეთია კაენის ცხოვრების ლოდიკურა დასკვნა. სიცოცხლე მარტო კოდო კი არ არის, არამედ დაუსრულებელი ტანჯვაც. ტანჯვა ადამიანს აკვნიდანვე მოელის და სდევნის მას სამარემდის. „დაიძინე, ეუბნება კაენი თავის ყრმა შვილს, დაიძინე ყრმა ქვეყნის პაწია ბარტყო! დაიძინე და თან გაიღიმე! შენ აკრძალული ნაყოფი არ მოგიწყვეტია, შენ არ იცი, რომ შიშველი ხარ! დადგება დრო, როდესაც იმ კოდვისთვის, რომელიც შენ არ ჩაგიდენია, შენც მოგთხოვენ პასუხს.“ კაენი ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ პირველ ყოფილ კოდვისთვის მთელი კაცობრიობა უნდა იტანჯოს. მის ზნეობრივ აღშფოთებას საზღვარი არა აქვს. იგი ხმა მალლა გაიძახის:

„წყველა იმ ღმერთსა, ვინც შექმნა
სიცოცხლე სიკვდილისათვის!“

სიკვდილი! აი ის უაზრო ბოლო, რომლი-

თაც ჩვენი ტანჯული სიცოცხლე თავდება. სიკვდილი მუდამ აჩრდილივით სდევნის კაენს და კაენთანით ავსებს მის სულსა. კაენმა არ იცის როგორია სიკვდილი, მაგრა დედის ცრემლებს რომ უყურებს, უეცრივ მიხვდება, რომ ის რაღაც საშინელება უნდა იყოს. ადამის კითხვაზე: „განა შენ არ ცოცხლობ?“ კაენი ასე უპასუხებს: „მაგრამ, განა მე არ უნდა მოვკვდე?“ ეს აზრი კაენს მოსვენებას არ აძლევს და მას მთელ სიცოცხლეს უშხამავს. თითქოს ამ უბედურების დასაგვირგინებლად ადამიანმა უნდა მთელი თავისი სიცოცხლე შრომაში და მონობაში გაატაროს. კაენს არასურს ასეთ უსამართლო მონობას დასტური დასცეს და ამიტომ არსებულ ზნეობრივ სისტემის წინააღმდეგ ილაშქრებს. კაენი ცდილობს ემპირიულ ქვეყნის საზღვრებისგან განთავისუფლებას: მას სურს ქვეყნის შემომქმედობის გეგმა ახალ კალაპოტში ჩააყენოს. კაენს აქაური ცხოვრება არ აკმაყოფილებს და ინსტიტუტურად საიდუმლო ქვეყნისკენ მიილტვის. ამიტომ არის, რომ კაენი ლიუციფერნს მალე უმეგობრდება. ლიუციფერნს იმ ქვეყნის სულელებ შორის ისეთივე ადგილი უჭირავს, როგორც კაენს დედა-მიწაზედ ადამიანებ შორის. კაენის კითხვაზე: „ვინა ხარ შენ მაგ ძლიერებით?“ ლიუციფერნი ასე უპასუხებს: „მე ვარ ის, ვინც შენ შემომქმედთან ბრძოლა გაბედა.“ ლიუციფერნი უარის მყოფელი სულია. იგი შემო-

მკმედს პირდაპირ სახეში უყურებს და ამაყად ეუბნება „რომ მისი ბოროტება სიკეთე არ არის.“ იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომელიც კაენს სტანჯავენ, იგი მიმართამს ლიუციფერს. ეს უკნასკნელი შეისვამს კაენს თავის ფრღებზედ და უცხო მხარეში გააქანებს. ეს მხარე ოცნების სამეფოა, რომლის ნახვას კაენი დიდ ხანს ნატრობდა. ლიუციფერს სურდა კაენსთვის ეჩვენებინა „წარსულ, აწმყოს და მომავლის ბედი.“ მაგრამ, როგორი იყო ამ მოგზაურობის შედეგი? რა სურათები გადაეშალა კაენს თვალ წინ?

„ყველა სულდგმულთა შორის ბრძოლა, არსთა სიკვდილი; ყველგან მონობა, ტანჯვა, სენი, მოთქმით ტირილი“

—აი რა ნახა კაენმა. როდესაც მოგზაურობის შემდეგ ლიუციფერნი კაენს ეკითხება: „ის, რაც შენ ნახე, ნუ თუ არ აღვიძებს შენში თვით-ცნობიერებას?“ კაენი უპასუხებს: „დიახ, მე მივხვდი ჩემს არარობას.“ და აი ამ უნუგეშო შედეგისათვის კაენმა მთელი სამყარო შემოიარა! რა საშინელი განაჩენის ხმა ისმის კაცობრიობის ბედზედ ლიუციფერის სიტყვებში, რომლითაც იგი კაენს მიმართავს:

„მხოლოდ ეს სიბრძნე შეგიძლიან კარგად გაიგო, რომ კაცთა შვილნი წარმოადგენთ არარობას. ეს არის ყოველ თქვენ ჭირთაგან ჩქარი დამხსნელი და უანდერძე შენ ეს სიბრძნე შთამომავლობას.“



მაშასადამე არც უცხო სამეფოში მოგზაურობამ დააკმაყოფილა კენი. სწორეთ იმ დროს, როდესაც კენმა მოინდომა ქვეყნის შემომქმედობის საიდუმლოს გაგება, ლიუციფერნი წინ გადაეღობა კენის ასეთ სურვილს და უთხრა: „არ შეიძლება მომაკვდავმა უკვდავი იხილოს და თითონ ცოცხალი დარჩეს.“ მაშასადამე ქეშმარიტების გაგება სიკვდილს მოითხოვს ასეთია ადამიანის ბედის წერა. კენს თვალწინ კვლავ საშინელი ძედელი გადაეღობა და იგი ისევ ძველ დედა-მიწაზედ დაბრუნდა. ადამიანი კარგი პსიხოლოგი უნდა იყოს, რომ კენის სულიერი დრამა გაიგოს. დალილ-დაქანცული და სულიერად დატანჯული კენი დედა-მიწაზედ ბრუნდება, სადაც მას ისევ გაუთავებელი ტანჯვა მოედლის. აი სწორედ ამ დროს შესწირეს კენმა და აბელმა ღმერთს მსხვერპლი. ღმერთმა აბელის მსხვერპლი მიიღო, ხოლო კენისა-გაჰთანტა დედა მიწაზედ. კენმა ვერ აიტანა ასეთი დამცირება და ბრაზმორეულმა შესძახა: „ჩამომეცალე! თურმე შენ ღმერთს სისხლი ჰყვარებია...დაე მან ეს სისხლიც მიღოს!“ ამ სიტყვების შემდეგ კენი დასტაცებს ხელს მუგუზალს საკურთხეველზედ და ძლიერის მოქნევით აბელს თავს გაუბობს...ასე გაჩნდა ქვეყანაზედ პირველი სიკვდილი. აბელის მშობლები ცხარე ცრე-

მლებს აფრქვევენ თავის საყვარელ შვილის გვამზედ და წყველა-კრულვას უგზავნიან პირველ სიკვდილის გამომწვევს. მაგრამ რასა გრძნობს თვით კენი?

„ძმის სისხლის მღვრელსა აღარ ძალ-უძს

ცრემლი დაღვაროს;

თვით ნიაღვარი ველარ განბანს მის სულს

დატანჯულს.“

„შვიდობა მას“ ამ სიტყვებითა ესალმება ადა-კენის ცოლი თავის ძმის, აბელის გვამსა. „მე“? სასოწარკვეთილად ეკითხება მას კენი. ასრე— თავდება დიდებული მისტერია. ამ უკანასკნელ სიტყვებში გამოხატულია მთელი მისტერიის დედა-აზრი და კენის სულიერი ტრაგედია. ღვთის პარისგან დაწყველილი და ადამიანებისგან განდევნილი კენი ველარ ეღირსება მოსვენებას. იგი დარჩა უსახლ-კაროდ, უმეგობროდ დედა-მიწაზედ და ამ საშინელ მარტოობაში უნდა დალიოს სული.

რითი დაიმსახურა კენმა ასეთი სასჯელი? მართლა დამნაშავეა იგი თუ არა? აი ის კითხვები, რომელზედაც ეხლა ჩვენ პასუხი უნდა გავცეთ. ამ კითხვების გადაქრას ვიწრო იურიდიული ხასიათი კი არა აქვთ, არამედ ფილოსოფიური. ვიდრე ჩვენ კენს გავამტყუნებდეთ, უნდა გავიგოთ ჩაიღინა თუ არა მან ბოროტ მოქმედება? იქნება კენი ღვთის სახელს კადნიერად იხსენიებდა და ღვთის განკიცხვაში მიუძღვის მას ბრალი? მაგრამ ვინც


კენს ამაში გაამტყუნებს, იგი მხოლოდ ძველ შეცდომას გაიმეორებს. კენის წინააღმდეგ ეს ბრალდება პირველად ინგლისის ეკკლესიის მოძღვრებმა წამოაყენეს. მაგრამ ისინი სცდებოდნენ, რადგანაც ეს მისტერია მოკლებულია რელიგიოზურ ხასიათს. პოეტს ამ ნაწარმოებში სრულიად არ აინტერესებენ რელიგიოზური საკითხები. მისი გმირი ნამდვილი. ხორც შესხმული ადამიანია. კენის კრიტიკა სარწმუნოებრივ დოგმატიზმს კი არ შეეხება, არამედ ქვეყნის სიწარმავლეს და ადამიანის ცხოვრების უსამართლოებას. ბაირონმა მხოლოდ ისარგებლა დაბადების მოთხრობით, როგორც ერთგვარი საშუალებით, და მხატრულად გამოხატა თავისი ფილოსოფიური მსოფლ — მხედველობა.

იქნება კენი ძმის მკვლელობაშია დამნაშავე? ვიღრე ჩვენ ამ კითხველზედ პასუხს მიუგებდეთ, უნდა გავიგოთ დანაშაულის მიზეზი. კენმა ვერ შესძლო გულ-გრილად ეყურებია უმანკო მსხვერპლის სასხლის დანთხევას. თუმცა ამ სისხლს მსხვერპლად თვით ღმერთი მოითხოვდა, მაგრამ მაინც იგი უმანკო სისხლი იყო. კენმა მკვლელობა ჩაიდინა, მაგრამ იმ ტანჯვას, რომელიც მან გადაიტანა, შეუძლიან მისი დანაშაული სრულადად გამოისყიდოს. თუ რომ თქვენ მაინც გსურთ კენი დამნაშავეთ სცნოთ, მაშინ მასთან ერთად უნდა გაამტყუნოთ კაცო-



ბრიობის საუკეთესო წარმომადგენელია. მაშინ დამნაშავეა თვით პრომეთეოსიც, რომელმაც კაცობრიობის საკეთილდღეოთ კიდან ცეცხლი ჩამოიტანა. ასეთი ღვთიური ცეცხლით იწოდა კენის გული. მისი ტანჯვა მთელი კაცობრიობის ტანჯვაა. ამიტომ მართალია ბაირონის მეგობარი, თომას მური, რომელიც. სწერდა: „თქმა არ უნდა, რომ კენი კაცობრიობის გულის სიღრმეს მოხვდება, და თუ ზოგიერთნი შეკრთებიან მისი ვითოვდა ღვთის განკიცხვის კილოთი, სამაგიეროდ ყველა მუხლებზედ დაეცემა მის სიდიადის წინაშე.“

ბაირონის მხატრულ-ფილოსოფიურ ნაწარმოებთა მთელი რიგი კენით თავდება. საიდუმლო ქვეყნებში მოგზაურობის დროს პოეტის მუხა თითქოს დაიღალა და დონ-ჟუანში იპოვა მან მოსვენება. ბაირონის თხზულებაში დონ-ჟუანი ყველაზედ რეალური ნაწარმოებია. დონ-ჟუანი-სატირიული ეპოსია, რომელშიაც, ვით სარკეში, გამოიხატა 19 ს. დასავლეთ ევროპის სოციალურ-საზოგადოებრივი წყობილება. როგორც ჩაიდ ჰაროლდი ამ ნაწარმოების გმირიც ესპანიაში და აღმოსავლეთში მოგზაურობს. რუსეთის შემდეგ დონ-ჟუანი ინგლისში ბრუნდება. მაგრამ ჰაროლდის და დონ-ჟუანის შორის მხოლოდ გარეგნული მსგავსება არის. ჰაროლდი ნამდვილი ენტუზიასტია,



რომელიც ბუნების ყველა მოვლენას აღტაცებით
 ეგებება. სილამაზე მას სულიერად ამალღებს, სი-
 კეთე ახარებს, ბოროტება აღელვებს და თავისუ-
 ფლება აფრთოვანებს. დონ-ჟუანმა უკვე გამოსცადა
 ცხოვრების ყველა სიმწარე და არც მომავალში
 ხედავს ნუგეშს. იგი ნაადრეულად მოხუცებული
 კაცის ტიპია. ადამიანის წმიდა გრძნობებს დონ-
 ჟუანი სარკაზმის შხამ ნალღელში ატარებს და
 მშრალზედ გამოჰყავს ქვეყნის თვალთ-მაქცეობა.
 დიდება და სახელი დონ-ჟუანს აღარ ხიბლავენ.
 სიყმაწვილესთან ერთად გაჰქრა მისი გიჟური ოც-
 ნება და ლტოლვილება იდეალებისადმი. აი რას
 ამოხს დონ-ჟუანი თავის თავზედ მეოთხე სიმღერაში:

„იყო დრო, ოდეს მრწამდა ჩემი გენიოსობა,
 მსურდა, რომ სხვასაც მოეზარა ჩემს წინა ქედი;
 ეხლა ქვეყანა იხსენიებს ქებით ჩემს სახელს
 და ხალხის თვალში ვბრწყინავ, როგორც
 ძვირფასი კერპი.“

მაგრამ მე მაინც სულს მიხუთვენ მწარე
 ფიქრები
 და აღარ ვნატრობ, აღარ შევეტოფი ტკბილსა
 ცხოვრებას;
 ჩემი ოცნება, ვით ყვავილი, დაქკნდა, გაყვითლდა,
 სიმღერის ნაცვლად ძლივს ვახერხებ საბრალო
 შტვენას.“


დონ—ჟუანში. პოეტის ფანტაზია თითქოს
 ველარ შოულობს შემომქმედობის მასალას.



პოეტის მუხა, როგორც ფრთებ დახოცილი არწივი
საბრალოთ დახოხავს დედა-მიწაზედ. და ან როგორ
აფრინდეს იგი ცაში? ვინ უნდა აქოს და აღიღოს
პოეტმა? გმირი? მაგრამ სად არის იგი? სიყვა-
რული? მაგრამ-ეს ხომ ცარიელი სიტყვაა. პოეტს
შესჯავრდა ადამიანი და მობეზრდა მისი უსულო,
უშინაარსო ცხოვრება. „ოჰ, ღმერთო რა მოსაბეზრე-
ბელია სინამდვილე!“ — ამბობს იგი ასეთ მოწყენი-
ლობის დროს — „იყო დრო, როდესაც ადამიანი
ჩვეულებას ქმნიდა, ეხლა კი თვით ჩვეულება ქმნის
ადამიანს.“ პოეტს არ შეუძლიან ცხოვრების ასეთ
სულიერ სიღატაკეს გულ-გრილად უყუროს. იგი
დრო გამოშვებით მოთმინებას კარგავს და ხმა
მალლა შესძახებს: „ადამიანო ანუ ძაღლო!
იმაყე, რომ ძაღლს გადარებ: შენ მაზედ უფრო
უარესი ხარ!“ მაგრამ შეცდომა იქნება ვიფიქროთ,
რომ დონ-ჟუანის უმთავრესი მოტივი ადამიანის
სიძულვილია. თუმცა პოეტის სარკაზმი ძალზედ
სასტიკია და დაუნდობელი, მაგრამ მის სიცილში
ბშირად გაისმის მოსიყვარულე გულის ტკივილი:

„მისთვის ვეცინი, რომ ცრემლები აღარა ვღვარო
ვსტირი, რადგანაც ჩემი გული ქვა-კლდე არ არი.“

— ამბობს პოეტი მე—4 სიმღერაში. ბაირონის
ნაწარმოებში დონ-ჟუანი ყველაზედ ობიექ-
ტიურია. მასში ივდენი ნაზი სიყვარული და



ჰუმანიური გრძობაა გაფანტული, რომ პოეტის დაცინვა ადამიანზედ სრულიად ავიწყდება მკითხველს. სამართლიანად შენიშნავს მორიც კარიერი შემდეგ: „თუმცა ბაირონის იუმორი სიმშვიდეს და თანაგრძობას მოკლებულია, მაგრამ მას აკეთილშობილებს პოეტის ღვთაებრივი ცეცხლი აღგზნებული კაცობრიობის საკეთილდღეოთ, მისი აღფრთოვანებული ბრძოლა უფლების და ქვეშაირიტების მოსაპოვებლად.“

კრიტიკულ ლიტერატურაში დონ-ჟუანზედ ხშირად სრულიად წინააღმდეგი აზრი გამოთქმულა. ამ ნაწარმოებს ზოგნი გარყვნილების და უაზრობის სინონიმად სთვლიან. აი რას სწერდა დონ-ჟუანის შესახებ სოუტი ბაირონის შეურიგებელი მტერი: „დონ-ჟუანის ავტორს შეგვიძლიან სატანიური შკოლის მოთავე უწოდოთ. მისი მიმდევარნი რაღაც ავადმყოფი გულის და გარყვნილ ფანტაზიის პატრონნი არიან. ესენი მუდამ იმას ცდილობენ, რომ სხვებიც მათსამებრ საბრალონი შეიქმნენ.“ ჩვენ უკვე ვიცით, რა ღირსებისა იყო საერთოდ სოუტის მსჯელობა ბაირონზედ. ზემოთ მოყვანილი აზრიც პოლემიკურია და პირადულ სიძულვილით არის გამსჭვალული. ეს აზრი მხოლოდ ისტორიკოსისთვის არის საინტერესო და იოტის ოდენასაც არა ხსნის თვით ნაწარმოებს. ჩვენ, რასაკვრელია, უფრო ობიექტიურად შეგვიძლიან დავაფასოდ იგი.



ჩვენ უნდა მუდამ გვახსოვდეს, რომ დონ — ჟუანი ერთად ერთი ნაწარმოებია, სადაც პოეტის ეროვნული გენიოსობა გამოიხატა. ინგლისელების ცხოვრება რაღაც ისტორიულ ამოცანას წარმოადგენს: იგი სავსეა წინაღმდეგობით, რაიც პირველი შეხედვით ძნელი ასახსნელი არის. იმის მიუხედავად, რომ ინგლისელებს უკვე მეთექვსმეტე საუკუნეში ჰქონდათ პოლიტიკური თავისუფლების ცნობილი „Habeas Corpus Act“ — ი, ეს ხალხი ზნეობრივ დარგში დღესაც კი საშინელი კონსერვატიული სულით არის შეპყრობილი, ცრუმორწმუნოებას და განათლებას, ფარისევლურ სიწმიდეს და პოლიტიკურ რადიკალიზმს, — ყველა ამას ინგლისელები რაღაც უცნაურულად ერთად ათავსებენ. ასეთი უცნაურობა მათ ყველაზედ ძალიან გეორგ III-ის დროს დაეტყობა, როდესაც მთელ ინგლისში ოფიციალური სიცრუე გამეფდა. დონ-ჟუანში ბაირონმა გადაგვიშალა ეს წინააღმდეგობა და დაგვანახვა ინგლისურ საზოგადოების სულიერი დაუძლიერება. მან გამოაუცხადა სასტიკი ბრძოლა მეშჩანურ ცხოვრებას და ამ ბრძოლაში მიმართა საუკეთესო იარაღს მწარე სიცილს, რომლის წინაშე ინგრეოდნენ გავლურებულ საზოგადოების დახვედებული კედლები. თვით სიყვარული დონ — ჟუანში რაღაც მასხარულ ქურქს ისხავს და თავის შიშველი სახით გვეჩვენება. მოიგონეთ ის სცენა,



როდესაც დონ-ჟუანი საბან ქვემოთ მოსულა და იქვე მისი სატრფო-ესპანიელი ქალი თავის ქმარს საყვედურს ეუბნება ცილისწამებისთვის. ამ სცენებს მართლა ცხოვრებაში ჰქონდათ ადგილი და ბაირონი მხოლოდ უთითებდა ყველას მათზედ. პოეტი განზრახ ღებულობს სიყვარულის კომიკურ მხარეებს და ცდილობს დაამტკიცოს, რომ ყველა სტყუის... სტყუის საძაგლად თვით წმინდა გრძნობებშიაც კი. მაშასადამე, დონ-ჟუანში პოეტი ცინიზმს კი არ ქადაგობს, არამედ თვითეულ საგანს თავის ნამდვილ სახელს არქმევს.

დონ-ჟუანით მინდა გავათავო ბაირონის ნაწარმოებთა გარჩევა. რასაკვრელია, ზემო ხსენებულ ნაწარმოებთა რიცხვით არ განისაზღვრება მისი შემომქმედება. ჩვენი კრიტიკულ განხილვის გარეშე დარჩა პოეტის ბევრი სხვა ნაწარმოებიც, მაგალ. მისტერია „ცა და დედა-მიწა“, „სამსჯავროს ხილვა“ დრამატული მოთხრობები ვენეციის ცხოვრებიდან და სხვა... მე განზრახ აუხვიე მათ თვალს, რომ უფრო მოკლეთ და მკაფიოთ გამომეთქვა მსოფლიო მწუხარების დედა-აზრი, რავდენათაც იგი ბაირონის საუკეთესო თხზულებებში გამოიხატა. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ამ მწუხარებამ, პირველად ჩუმმა და სანტიმენტალურმა, უმაღლეს საზღვრებამდის მიაღწია, და ბოლოს ისევ იკლო. ამნაირად, პოეტის შემომქმედებამ



თითქოს მთელი დიალექტიური პროცესი გაიარა და თვალ-წინ გადაგვიშალა თავისი ღრმადა მრავალფეროვანი შინაარსი.

ეხლა ჩვენ ვიტყვით ორიოდ სიტყვას იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ბაირონის პოეზიას კაცობრიობის ისტორიაში. ბაირონიზმის მნიშვნელობა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ იგი პირველად შეეხო მსოფლიო მწუხარებას, არამედ იმაში, რომ მან ეს მწუხარება თავისებურ ლამაზ და მხატრული ფორმით გამოხატა. როდესაც მთელ ევროპაში სიბნელე იყო გამეფებული, ბაირონი ამ შავ წყვედიადში ძლიერი ცეცხლი დაანთო და თავის გარშემო შემოიკრიბა ყველა დევნილი და ტანჯილი. იტალია, რომელიც ავსტრიის უღელს ქვეშ გმინავდა, ბარბაროსებისგან განაწამებული საბერძნეთი და პოლონეთი, — ყველა ამათ ბაირონიზმს ჩაჰკიდეს ხელი, როგორც ეროვნულ სევდის ერთად ერთ გამაქარვებელ საშუალებას.

„ჩემო სამშობლო! წარსულ დროიდან დაგრჩა კედლება, ციხე-სიმაგრე, მხოლოდ წინაპართ დადების ნაშთი გაჰქრა უეცრივ შენ მინდორ-ველზე!“

ასეთ ნაღვლიანი სიტყვებით მიმართავს თანამემამულეთ იტალიის აღორძინების დიდებული პოეტი ლეოპარდი. მაგრამ ბაირონიზმა ყველაზედ დიდი აღფრთოვანება პოლონეთში გამოიწვია, სადაც



სიტყვა „სამშობლო“ სევდის და მწუხარების სიმბოლოდ გადაიქცა. ადამ მიცკევიჩის ნაწარმოებში მსოფლიო მწუხარება სამშობლოს სევდიანი სიტყვარულით შეიცვალა. ამ დიდებულ პოეტის სიტყვით „სამშობლოს მხოლოდ ის აფასებს, ვინც სამუდამოთ დაჰკარგა იგი. კაცობრიობას მხოლოდ უბედურება უღვიძებს ძმობის გრძნობას და ყოველი ქეშმარიტება—მწუხარების შეილია.“ ბაირონიზმა ქართულ ლიტერატურაშიაც დიდი კვალი დასტოვა. ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში მსოფლიო მწუხარება იშვიათური ძლიერებით და ლამაზი ფორმით გამოიხატა. უდროოდ გარდაცვალებულმა პოეტმა ღრმად შეიგრძნო თანამედროვე ცხოვრების სულის კვეთება და გახდა მის მქერმეტყველ მესაიდუმლეთ. ნ. ბარათაშვილმა ამოიკითხა უსულდგმულო ცხოვრების საშინელი ტრაგედია და თავისი პატარა ერის სევდა კაცობრიობის დიდ მწუხარების ქსელში ჩააქსოვა. მისი მერანი საუცხოვო ნიმუშია ამ რთულ სულიერ პროცესისა. მერანი ძლიერი ამონაკვნესია განაწამებულ სიცოცხლისა. იგი ცრემლში ჩაღვსილი, გაფოლადებული გრძნობაა. მერანი ობოლი სულის თავგანწირული ბრძოლაა ბედის წერასთან. საინტერესოა აგრეთვე მოკლეთ გავითვალისწინოთ ბაირონიზმის როლი რუსეთის ლიტერატურაში. აქ უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ 19 ს. დასაწყისის რუსეთში ბაირონიზმს ნია-

დაგი არ ქონდა მომზადებული. მაშინდელ რუსეთში ჯერ არ არსებობდა საზოგადოება ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ბატონ-ყმური რუსეთი მოკლებული იყო იმ ისტორიულ ტრადიციებს, რომლითაც დასავლეთი ევროპა ამაყობდა. ბაირონიზმი დასავლეთ ევროპაში-წარსულ საუკუნოების ისტორიულ-ფილოსოფიური აზრის დასკვნაა. მანფრედი, კენი და დონ-ჟუანი სინტეზია იმ რთულ სულიერ მოძრაობისა, რომელიც დიდ რევოლუციის ქარიშხლის დროს განვლო კაცობრიობამ. ონეგინი და პეჩორინი რუსეთის ცხოვრების გულის სიღრმეში კი არ იბადებოდნენ, არამედ სცურავდნენ მის ტალღების ზემოთ. ონეგინი წარსულ საუკუნის მე-20 წლების რუსი ინტელიგენტია, რომელსაც არც დასავლეთ ევროპის ცივილიზაცია აქვს შეთვისებული და არც მშობელი ხალხის ქირ-ვარამი ესმის. ონეგინი სწორედ იმ ახალგაზდა ჯგუფს ეკუთნის, რომელზედაც ერთი ნიქიერი მწერალი სამართლიანათ დასძენს: „წარსულ საუკუნის მე-20-და-30 წლებში პესიმიზმი ყველასათვის მოდათ გადაიქცა. სწუხდა ყველა სულელი, რომელსაც სურდა საზოგადოების ყურადღება მიეპყრო“ (შახოვი). ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ონეგინის და პეჩორინის სიტყვებს ხშირად სიყალბე ემჩნევად, ხოლო მათ მოქმედებას ძალდატანება და უპრინციპობა. მხოლოდ პუშკინის და ლერმონტოვის გენიოსობამ შთაბერა მათ უკვდავების



სული და თავისი მშვენიერი ქმნილება მომავალ თაობას უანდერძა.

მაგრამ ზემონათქვამით არ განისაზღვრება ბაირონიზმის ისტორიული მნიშვნელობა. ბაირონიზმა გადაქრით წამოაყენა პიროვნების საკითხი, რომელიც დიდ ხანს ევროპის ფილოსოფიურ აზრს იპყრობდა. ბაირონის გმირების ტიტანიზმი—ამ საკითხის გადაწყვეტის ცდაა ლიტერატურაში. რა არის ტიტანიზმი? იგი არის უმაღლესი წერტილი, სადამდისაც ადამიანის იდეალურ ტიპს შეუძლიან მიაღწიოს. მანფრედში და კაენში ბაირონმა სწორეთ ასეთი ტიტანიური ადამიანი დაგვიხატა. ამ ტიპმა ბაირონის შემდეგ დიდი ცვლილება გამოიარა და მე—70 წლებში იგი ნიცშეს ზე-კაცის სახით მოგვევლინა. თუმცა ბაირონის ტიტანის და ნიცშეს ზე-კაცის შორის რაღაც მსგავსებაა, მაგრამ მათ შორის ღრმა განსხვავებაც არის. ნიცშეს ზე-კაცი არ არის ადამიანის ზნეობრივი იდეალი; იგი ბიოლოგიური ტიპია, რომლითაც ადამიანების ახალი მოდგმა იწყება. ნიცშეს ზე-კაცი უარყოფს ყველა ზნეობრივ ნორმებს და არა გრძნობს ხალხის მიმართ არავითარ სიბრალულს. «ვინც ყველა მოსიყვარულეთ, ამბობს ზარატუსტრა, რომელთაც სიბრალულ ზედ უფრო წმინდა არაფერი გააჩნიათ ქვეყანაზედ.» ზე-კაცი ამსხვრევს ძველ კერპებს და არც ქმნის ახალს: იგი სიკეთეს და ბოროტების



გალმა მხარესა ცხოვრობს. ადამიანი მისთვის მიზანი ვერ
არ არის, არამედ-ხიდი, რომელიც მან უნდა გაიაროს.
ზე-კაცის იდეალი არის შორეულის და არა მოყვასის
სიყვარული. ბაირონის გმირები სატანიურ სიამა-
ყესთან ერთად ადამიანის სიყვარულსაც განიცდიან.
ისინი კაცობრიობის საკეთილდღეოთ მწარედ
იტანჯებიან, და რაც უფრო სძულთ იგი, მით
უფრო ძლიერია მათი ტანჯვა და სიყვარული.
ნიცშეს ზე-კაცს სძულს ყოველი ბრბო და სურს
შაზედ იბატონოს. ბაირონის გმირიც გაურბის
ადამიანს, მაგრამ მას არ შეუძლიან დიდ ხანს
მარტოდ ყოფნა. სიბრალული და თანაგრძნობა
მალე უღბობს მას გულსა. იგი კვლავ ადამიანის-
კენ სიხარულით მიეშურება. „უმჯობესია ადამიანს
ცრქელის ერთი წვეთი მოსწმინდო, ვიდრე სახელის
მოხვეჭის გულისთვის სისხლის ზღვა დაანთხიო“
— ასეთია ბაირონის გმირების ჰუმანიური იდეალი.

ასე სხვა და სხვანაირი იყო წარსულ საუ-
კუნის ორი დიდებულ ინდივიდუალისტის შეხე-
დულობა ადამიანის პიროვნებაზედ. რასაკვირველია
ბაირონმა და ნიცშემ ვერ გადასჭრეს საბოლოოდ
ეს საკითხი, მაგრამ პირველმა იგი სწორეთ
წამოაყენა და ამაშია მისი დიდი ისტორი-
ული ღვაწლი. ბაირონის პროტესტი საზოგადოების
წინააღმდეგ ზნეობრივ თვისებისა და ამიტომ მან
ბოლოს დემოკრატიული ხასიათი მიიღო. ნიცშეს



პროტესტი-კი, როგორც ესტეტიური, არისტო-
კრატიზმით დამთავრდა. ნიცშეს ეგონა, რომ
არსებობისთვის ბრძოლას ადამიანის ცხოვრებაში
ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ცხოველებ
შორის. ამიტომ მან დარვინიზმის პრინციპები
პირდაპირ გადაიტანა სოციალოგიაში. რავდენათაც
ნიცშე დიდებული ფილოსოფოსი იყო, ივდენად
იგი სუსტობდა, როგორც პსიხოლოგი: ნიცშემ
ვერ გაიგო თანამედროვე ცხოვრების ტენდენცია.
ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ მისმა მოძღვრებამ
უმრავლესობისთვის თითქმის შეუმჩნევლად ჩაიარა
და ვერ ჩასწვდა იგი ცხოვრების ღრმა ფესვებს. ნიც-
შეს მოძღვრებამ მხოლოდ თითო-ორი მოხიბლა
თავისი გარეგნული სილამაზით და პარადოქსალური
აზრებით. ის ბედი, რომელიც ნიცშეს ზე-კაცს
ეწვია, დამამტკიცებელი საბუთია მთელი მოძღვრე-
ბის უშინაარსობისა. სტანისლავ პშიბიშვესკის
„Homo Sapiens“—ში ზე-კაცმა უმაღლეს წერტი-
ლამდის მიაღწია და ნამდვილ რეგვენადაც გადა-
იქცა. მაგრამ სულ სხვანაირი იყო ბაირონის გმირების
ბედი. ისინი დღესაც კოცხლივ გვიდგებიან თვალწინ და
გვხიბლავენ თავიანთი ადამიანური სახით. როგორც
დიდებულ პსიხოლოგს, ბაირონს კარგად ესმოდა
თანამედროვე ცხოვრების სულსკვეთება. ბაირონმა

ჩამოჰკრა კაცობრიობის სულის ნაზი სიმები და თავის საუცხოვო პოეზიაში, როგორც სარკეში, მისი ტანჯვა, სიყვარული და იმედი გამოხატა. ბაირონის პოეზია ისეთ საკითხებს შეეხო, რომელთაც არა მარტო ისტორიული, არამედ სამარადისო მნიშვნელობა აქვთ. ქვეყნის არსებობის აზრი, ადამიანის სიცოცხლის და სიკვდილის ამოცანა, სიყვარულის საიდუმლოება, ბოროტების მიზეზი და სხვა... ერთი სიტყვით ყველა აგრეთ წოდებული მსოფლიო საკითხები წამოყენებულ იქმენ ბაირონის პოეზიაში. რასაკერელია, ამ კითხვების მეცნიერულად გადაჭრა შეუძლებელია, მაგრამ მათი არსებობა სრულიად კანონიერია და ბუნებრივი. ეს საკითხები გამოუცნობელნი რჩებიან, რადგანაც ისინი ადამიანის განცდის გარეშე სდგანან; მაგრამ ვიდრე ადამიანის მკერდში გული სცემს, ისინი მუდამ ააღელვებენ მის გრძნობა გონებას. ის ყრმა ფილოსოფოსი, რომელიც ჰეინეს ერთ ლექსში ზღვის პირას დგას და კითხულობს ქვეყნის ამოცანას, უბრალო პოეტიური სურათი არ არის. იგი სიმბოლოა კვლევა-ძიების ძალით შეპყრობილ ადამიანის სულისა. ფიზიოლოგს შეუძლია სიყვარულის ბიოლოგიური საფუძველი გამონახოს, მაგრამ მისი მომხიბლავი ძალა მაინც ამოცანად დარჩება ჩვენთვის. ექიმს შეუძლიან ავადმყოფის სიცოცხლის წამები გამოინგარიშოს, მაგრამ ჩვენ მაინც ვიტყვით, რომ სიკვდილი საშინელი უაზრობაა. იურისტს შეუძლია ცხოვრების ყოველი უსამარ-

თლობა დააკანონოს, მაგრამ ჩვენი აღელვებული სანიდისი ვერ შეუტრივდება ასეთ კანონს და პოეტის სიტყვებს გაიმეორებს:

„ რისთვის სცურავს მძიმე ტვირთ ქვეშ
სისხლის ზღვაში მართლის მოქმელი ?
უსინდისოს რათ მოვლის
ყველგან ქება და სახელი ?“ (ჰეინე).

როგორც სუბიექტიური გრძნობის პოეტი, ბაირონი ვერ შეუტრივდა ადამიანის გონების განსაზღვრულობას და თავის ძლიერ მოსილ ფანტაზიით მალლა, განუსაზღვრელ სფეროში მიილტოდა. მსოფლიო საკითხები, რასაკვირველია, ფანტაზიურ შემომქმედების ძალით არ იხსნებიან, მაგრამ ასეთი შემომქმედება ამაღლებს ადამიანს, როგორც ზნეობრივ-მოაზრე არსებას. მეშინაობა შესაძლებელია არა მარტო ცხოვრებაში, არამედ მეცნიერებაშიაც; ფაუსტის მოწაფე ვაგნერი მისი ტიპიური წარმომადგენელია. პოეტის ძლიერი ფანტაზია დრო გამოშვებით იჭრება მეცნიერის ბნელ სარკველში და ხავსით შემოსილი აზროვნება გარეთ მზის შუქზედ გამოაქვს. მისი შემომქმედების წმინდა სხივებში ადამიანი საუკუნოებით მოგროვილ მტვერს იბერტყავს და კვლავ შეტრფის ცხოვრების, მუდამ ამწვანებულ ხესა. ბაირონიზმი ისეთი პოეზიაა, რომელიც დიად მწუხარების მიუხედავად, მუდამ სიცოცხლის და ძლიერ შემომქმედების სურვილს ჩაგვძახის გულში. ეს აზრი ბაირონმა არა მარტო პოეტიური ნაწარმოებით დაამტკიცა, არამედ თავის კერძო ცხოვრებითაც. როდესაც სიმართლის ხმამ ქვეყნად დაიქუქა და გაისმა ადამიანის გულის გმინვა, ბაირონმა არ დაზოგა არა მარტო სიმდიდრე, არამედ-სიცოცხლეც. ჩვენ აქ

მხედველობაში გვაქვს ბაირონის მხურვალე მონაწილეობა საბერძნეთის განთავისუფლებაში და მისი ტრადიკული სიკვდილი ბრძოლის ველზედ.

„აღსდგე, ამხედრდი შენ, ჩემო სულო!

— შენ ხომ, ელლადა, უკვე ამხედრდი—
იგრძენ მჩქეფარე სისხლის დუდილი
და ბრძოლის ველზედ უმაღ გამოდი!

გულში ჩაიკალ ვნებათა ღელვა!
ხომ აღარა ხარ ნორჩი, უმაწვილი?
ნულა აჰყვები გულის ძგერასა,
ნულა დაგათრობს სატრფოს ღიმილი!

და თუ შენატრი კვლავ სიუმაწვილეს,
მაშ რაღად გინდა სიცოცხლე ბნელი?
სიკვდილი გელას და ნუ თუ სახელს
ვეღარ მოგიხვექს ბრძოლისა ველი?

მაშ კვლავ ეძიე, რასაც აქ ხშირად
მოულოდნელად ჩვენა ვპოულობთ,
ბრძოლის ველზედა ჰპოვე სამარე
და განისვენე იქ საუკუნოთ.“

ამ სიტყვებით ათავებს ბაირონი თავის უკანასკნელ, მშვენიერ ლექსსა, რომელიც მან დასწერა მესალონგში, ყოფნის დროს საბერძნეთის ამბოხების წინა დღეებში.

ასეთი იყო ბაირონის შემოქმედება და მისი ღვაწლი კაცობრიობის ისტორიაში. ზემოთ ჩვენ უკვე ვთქვი, რომ თანამედროვე ადამიანის სულიერი განწყობილება იმ დროს გვაგონებს, როდესაც ბაირონი ცხოვრობდა. და მართლაც. განა მთელი



ჩვენი ცხოვრება ისევ უსამართლოებად არის
 აგებული? განა დღესაც, როგორც ამ ასი წლის წი-
 ნათ, სიბნელე და სილატაკე ადამიანის კულტურის
 განადგურებას არ ლამობენ? ჩვენი დროის განა-
 თლებას და მაღალ კლასების სიმდიდრეს თან სდევს
 ხალხის საშინელი სიღარიბე და გავლეურება. ასეთი
 არა ნორმალური მდგომარეობა დიდ საგონებელში
 აგდებს ყველას, ვისაც კაცობრიობის საკეთილდღეოთ
 გული შესტკივა. იმ ადამიანისთვის, ვინც ტყვილად
 არ ატარებს ამ სახელს, დღეს პირადული ბედნი-
 ერება არ არსებობს: არის მხოლოდ საკაცობრიო
 ტანჯვა. თანამედროვე ცხოვრება ვეღარ აკმაყო-
 ფილებს ხალხის სამართლიან მოთხოვნილებას და
 აი ამაშია ჩვენი დროის სულიერი ტრაგედია. ძლიე-
 რმა სოციალურმა უსამართლოებამ დასცა ძველი
 საბერძნეთი და რომი; იგი ჩვენს კულტურას რა-
 ლაც უფსკრულისაკენ მიაქანებს. მაგრამ ვიდრე
 კაცობრიობას ბოლო მოეღება, იგი ქვეყნად სიმა-
 რთლეს განახორციელებს ამის თავდება თანა-
 მედროვე ცხოვრების ევოლუცია. მანამდე კი ჩვენ
 გვმართებს დიდი ზნეობრივი მუშაობა. და აი სწორეთ
 ამ დროს ხელოვნებას შეუძლიან დიდი ამაგი
 დასდოს კაცობრიობას. მისი მძლავრი და აღფრთო-
 ვანებული სიტყვა უკანასკნელი ნუგეშია განა-
 წამებულ ობოლ სულისა. ბაირონის პოეზიაც
 სწორეთ ასეთი ხელოვნებაა. იგი შემომქმედობის
 დაუშრეტელი წყაროა, სადაც ცხოვრების ყოველი
 ჭუჭყი ირეცხება. მაშ დავეწაფოთ ამ წყაროს!
 ყური დაუგდოთ მსოფლიო მწუხარების დიდებულ
 მგოსანს, რომ მისმა ძლიერმა სიტყვამ გვასწავლოს
 ჩვენ საქმენი საგმირონი





ქართული
ბიბლიოთეკა